პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 46 (20692) — ხუთშაბათი, 22 თებერვალი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

მ. ს. გორბაჩოვის პასუხი

„პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე

კითხვა. რედაქციაში კვლავ მოდის წერილები, რომლებშიც მკითხველები გვთხოვენ განეცხადოთ გერმანიის გაერთიანების საკითხი. ცნობილია, რომ დასავლეთშიც ამის თაობაზე მრავალ სხვადასხვა აზრს გამოთქვამენ, მათ შორის კანცლერ ჰ. კოლთან თქვენი შეხვედრის შედეგების შესახებაც. რას იტყოდით ამის გამო?

პასუხი. მართლაც ძალზე მნიშვნელოვანი, ერთ-ერთი მთავარი საკითხია საერთაშორისო პოლიტიკაში. აქ მე ორ ასპექტს გამოვყოფდი.

პირველი — ეს არის გერმანელთა ერთიანობის უფლება. ჩვენ არასოდეს არ უარგვიყვია ეს უფლება. მინდა შეგახსენოთ, რომ ომის შემდეგე, რომელმაც ჩვენს ხალხს მოუტანა გამარჯვების კანონიერი სიამაყეც და განუზომელი მწუხარებაც, ბუნებრივია, — მისი ბრალეულების მიმართ სიძულვილიც, საბჭოთა კავშირი ილაშქრებდა გერმანიის დანაწილების წინააღმდეგ. ეს იდეა ჩვენ არ გვეკუთვნის, და ჩვენ არ გვეკისრება პასუხისმგებლობა ამისათვის, თუ როგორ განვითარდა შემდეგ, „ცივი ომის“ პირობებში, მოვლენები.

ამას დავძენ: მას შემდეგაც კი, რაც გაჩნდა ორი გერმანული სახელმწიფო, საბჭოთა მთავრობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ერთად კვლავ იცავდა გერმანიის ერთიანობის პრინციპს. 1950 წელს, სსრ კავშირმა მხარი დაუჭირა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებას საერთო-გერმანული სახელმწიფოებრიობის აღდგენის შესახებ. 1952 წლის 10 მარტს საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა ერთიან დემოკრატიულ და ნეიტრალურ სახელმწიფოდ გერმანიის გაერთიანების გეგმა. დასავლეთმა ეს წინადადებაც უარყო. 1954 წელს ბერლინში საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე ჩვენ კვლავ შევთავაზეთ ერთიანი დემოკრატიზებული გერმანიის შექმნა. და კვლავ უარი მივიღეთ. ერთი წლის შემდეგ, 1955 წლის 15 იანვარს, საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება ერთიანი გერმანიის შექმნის შესახებ, სადაც იქნებოდა თავისუფალ არჩევნებში არჩეული მთავრობა, რომელთანაც დაიდებოდა საბავშო ხელშეკრულება. ეს წინადადებაც უპასუხოდ დარჩა. 1957-1958 წლებში არც კი განხილულა გერმანიის კონფედერაციის შექმნის წინადადება, რომელიც წამოაყენა გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ და რომელსაც ჩვენ აქტიურად დავუჭირეთ მხარი. 1959 წელს წამოყენებულ იქნა ახალი საბჭოთა წინადადება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირზე: დაიდოს საბავშო ხელშეკრულება ერთიან გაერთიანებულ გერმანიასთან, რომელიც არ შეეიდოდა სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებებში, მაგრამ ექნებოდა გარკვეული სამხედრო პოტენციალი. შედეგი იგივე იყო.

მოსკოვის ხელშეკრულების დადების დროსაც სსრ კავშირი არ გამორიცხავდა პერსპექტივაში გერმანიის გათიშვის დაძლევას. ამას მოწმობს ჩვენი მთავრობის მიერ მიღებული „წერილი გერმანიის ერთიანობის შესახებ“, რომელიც ბრანდტმა და შეელმა დაუთრეს მათ მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერას.

როგორც ხედავთ, ეს საკითხი ჩვენთვის ახალი არ არის. ჩვენ ვხელმძღვანელობთ იმით — და ეს არაერთგზის მითქვამს საჯაროდაც, გერმანელ პოლიტიკურ მოღვაწეებთან კონტაქტების დროსაც, — რომ ისტორიამ ისე განსაჯა, რომ წარმოიშვა ორი გერმანული სახელმწიფო, და მან უნდა განსაჯოს, როგორი იქნება, ბოლოს და ბოლოს, გერმანელი ერის არსებობის სახელმწიფო ფორმა. და აი, ისტორია მოულოდნელად სწრაფად ამოქმედდა. ამ პირობებში ჩვენ ერთხელ კიდევ დავადასტურეთ, რომ გერმანელებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ, როგორ, რა ვადებში და რა ფორმებით მოხდება მათი გაერთიანება. ამაზე იყო ლაპარაკი ჰ. მოდროვთან და შემდეგ მალე — ჰ. კოლთან საუბრებშიც. მაგრამ ეს პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა, და ამ საუბრისას მარტო ამაზე როდი იყო ლაპარაკი.

კითხვა: რა გაქვთ მხედველობაში?

პასუხი: უწინარეს ყოვლისა ის, რომ გერმანიის გაერთიანება მხოლოდ გერმანელებს ეხებათ. მიუხედავად იმისა, რომ პატივს ვცემთ მათს ამ ეროვნულ უფლებას, სიტუაცია ისეთნაირია, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ გერმანელები შეთანხმდნენ ერთმანეთს შორის და მერე შესთავაზონ ყველა დანარჩენს მხოლოდ მოიწონონ მათ მიერ უკვე მიღებული გადაწყვეტილებანი. არის ფუნდამენტური რამეები, რომელთა ცოდნის უფლება აქვს საერთაშორისო გაერთიანებას და რომლებშიც ადგილი არ უნდა ჰქონდეს ორაზროვნებას.

შემდეგ ამთავითვე ცხადი უნდა იყოს, რომ არც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაახლოების თვით პროცესს, არც ერთიან გერმანიას არ უნდა მოჰქონდეს არც საფრთხე, არც ზიანი მეზობლებისა და საერთოდ, ვისიმე ეროვნული ინტერესებისათვის, და, რა თქმა უნდა, გამორიცხულია ამ სახელმწიფოების საზღვრების ყოველგვარი შელახვა.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად ჩამოყალიბებული საზღვრების ურყეობის გარდა, რაც ყველაზე არსებითია, არის მისი სხვა შედეგებიც. არავის არ გაუუქმებია ოთხი სახელმწიფოს პასუხისმგებლობა. და ამ პასუხისმგებლობის მოხსნა შეუძლიათ მხოლოდ თვითონ მათ. საბავშო ხელშეკრულება გერმანიასთან ჯერ არ არის. და მხოლოდ მას შეუძლია საერთაშორისო-სამართლებრივი წესით საბოლოოდ განსაზღვროს გერმანიის სტატუსი ევროპის სტრუქტურაში.

ხანგრძლივი დროის მანძილზე უშიშროებას, ასე თუ ისე, იცავდა ორი სამხედრო-პოლიტიკური კავშირი — ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია და ნატო. ჯერ მხოლოდ ისახება ევროპაში უშიშროების პრინციპულად ახალი სისტემის ჩამოყალიბების წინამძღვრები. ამიტომ შენარჩუნებულია ამ კავშირების როლიც, თუმცა მისი არსებითი მოდიფიცირება ხდება შეიარაღებული კონფრონტაციის შემცირების, უშიშროების სამხედრო კომპონენტის შესუსტების, მათი საქმიანობის პოლიტიკური ასპექტების გაძლიერების კვალობაზე. მაშასადამე, გერმანიის გაერთიანებაც უნდა ხდებოდეს ამ გარემოებათა, სახელდობრ კი, ამ ორი საერთაშორისო ორგანიზაციის სამხედრო-სტრატეგიული ბალანსის დარღვევის დაუშვებლობის გათვალისწინებით. აქ სრული სიცხადე უნდა იყოს.

კითხვა. ცნობილია, რომ ოტავაში საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მონაწილეობით გერმანიის საკითხის განხილვის მექანიზმის თაობაზე. ხომ ვერ განგვიმარტავდით, როგორ არის გაგებული ამ მექანიზმის როლი?

პასუხი: მართლაც, საქმე ეხება ნახსენებ ექვს სახელმწიფოს შორის გერმანიის საკითხის განხილვის გარკვეულ ფორმას. უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთი პროცედურის იდეა მოსკოვსა და დასავლეთის ქვეყნების დედაქალაქებში ერთდროულად და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იშვა. ამაზე ვილაპარაკეთ ჰ. მოდროვთან, შემდეგ კი ჰ. კოლთან. და არა მგონია მართებული იყოს „პრიორიტეტების“ დამოწმება.

მისი სამართლებრივი საფუძველი დაკავშირებულია ომის შედეგებთან, მსოფლიოში გერმანიის მომავალი როლისათვის ოთხი სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან. ამასთან იგი ითვალისწინებს უდიდეს ცვლილებებსაც, რომლებიც მოხდა მას შემდეგ ევროპაში და მსოფლიოში, თვით ორ გერმანულ სახელმწიფოში, ამიტომაც შედის ისინი ამ მექანიზმის ფორმულაში, რომელსაც პირობით ეწოდა „2 პლუს 4“.

ამოცანა ის არის, რომ ყოველმხრივ და ეტაპობრივად განვიხილოთ გერმანიის გაერთიანების ყველა საგარეო ასპექტი, მოვამზადოთ საკითხი საერთო ევროპულ პროცესში ჩართვისა და გერმანიასთან მომავალი საზავო ხელშეკრულების საფუძველთა განხილვისათვის. ამასთან ასეთი კონსულტაციების ეფექტიანობა, მათი ავტორიტეტი დამოკიდებულია ყველა მონაწილეს შორის ნდობისა და და გულახდილობის დონეზე. რა თქმა უნდა, სუვერენულ სახელმწიფოებს შეუძლიათ ნებისმიერი კონტაქტები, მათ შორის გერმანიის საკითხის გამოც, განახორციელონ ორმხრივ და ნებისმიერ სხვა საფუძველზე. მაგრამ ჩვენ გამოვრიცხავთ ისეთ მიდგომას, როცა სამი ან ოთხი ქვეყანა ჯერ მორიგდება ერთმანეთში და დანარჩენ მონაწილეებს გააცნობს უკვე შეთანხმებულ პოზიციას. ეს მიუღებელია.

კითხვა. ხომ არ არის ამ პროცედურაში დისკრიმინაციის ელემენტი სხვა ქვეყნების მიმართ, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ ომში?

პასუხი. კითხვა მართლზომიერია. სწორედ ამატომაც ისე, რომ არ ვაკნინებთ ოთხი სახელმწიფოს ისტორიულად განპირობებულ უფლებას, „2 პლუს 4“ მექანიზმს ვუკავშირებთ საერთო ევროპულ პროცესს და ამავე დროს ვვესმის იმ სხვა ქვეყნების განსაკუთრებული ინტერესი, რომლებიც არ არიან აღნიშნული ამ ფორმულაში. მაშასადამე, ვითვალისწინებთ მათ კანონიერ უფლებას დაიცვან თავიანთი კანონიერი ინტერესები. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში მაქვს პოლონეთი — მისი ომისშემდგომი საზღვრების, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოების საზღვრების ურყეობა გარანტირებული უნდა იყოს. ასეთი გარანტია შეიძლება გახდეს მხოლოდ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი.

კითხვა. როგორ აფასებთ საბჭოთა ადამიანების, და საერთოდ სხვა ევროპელი ხალხების გარკვეულ შიშს, ევროპის ცენტრში ერთიანი გერმანული სახელმწიფოს წარმოქმნის პერსპექტივა რომ ბადებს?

პასუხი. ისტორიულადაც და ფსიქოლოგიურადაც ასეთი შეშფოთება გასაგებია. თუმცა იმასაც ვერ უარვყოფთ, რომ გერმანელმა ხალხმა გამოიტანა დასკვნები ჰიტლერელთა ბატონობისა და მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებიდან. ორივე გერმანულ სახელმწიფოში გაიხარდა ახალი თაობები, რომლებიც მსოფლიოში გერმანიის როლს სხვაგვარად უყურებენ, ვიდრე, ვთქვათ, ბოლო ასი წლის განმავლობაში, განსაკუთრებით — ნაციზმის პერიოდში.

რა თქმა უნდა, საჭიროა, რომ არა მარტო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობის, არამედ ოფიციალურ, სახელმწიფო დონეზეც მთელი მსოფლიოს წინაშე გაკეთდეს განცხადება: გერმანიის მიწა-წყლიდან არასდროს არ უნდა დაიწყოს ომი. ჩემთან საუბრისას ჰ. კოლმა არაერთხელ მისცა ამ ფორმულას უფრო მკაფიო განმარტება: გერმანიის მიწა-წყალი მხოლოდ მშვიდობას უნდა უწყობდეს ხელს.

ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ არავის აქვს უფლება უგულებელყოს წინათ გერმანიაში შექმნილი ნეგატიური პოტენციალი. მით უმეტეს შეუძლებელია არ გავითვალისწინოთ ხალხის ხსოვნა ომის, მისი საშინელებისა და მსხვერპლის შესახებ. ამატომ უაღრესად საჭიროა, რომ გერმანელებს, გაერთიანების საკითხის გადაწყვეტისას ახსოვდეთ თავისი პასუხისმგებლობა და ის, რომ პატივი უნდა სცეს სხვა ხალხების არა მარტო ინტერესებს, არამედ გრძნობებსაც.

განსაკუთრებით ეხება ეს ჩვენს ქვეყანას, საბჭოთა ხალხს. მას აქვს ხელშეუფალი უფლება ჰქონდეს იმედი და საშუალება იღვწოს იმისათვის, რომ გერმანელთა გაერთიანებით ჩვენს ქვეყანას არ მიადგეს არც მორალური, არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური ზარალი, და რომ ბოლოს და ბოლოს განხორციელდეს ისტორიის ძველთა ძველი „ჩანაფიქრი“, რომელმაც ბედად გვარგუნა ერთმანეთის გვერდით ცხოვრება, გააბა ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობის და ღრმა საერთო ინტერესების ძაფები, ზოგჯერ ტრაგიკულ შეტაკებებში შეგვიახვიდრა ერთმანეთს და ახალი ეპოქის პირობებში გვაძლევს შანსს ვენდობოდეთ ერთმანეთს და ნაყოფიერად ვთანამშრომლობდეთ.

კითხვა. როგორ შეიძლება შეფასდეს ოტავაში ამ დღეებში მიღწეული მორიგება იმის თაობაზე, რომ ცენტრალურ ევროპაში 195 ათასი კაცის დონემდე შემცირდეს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჯარების რაოდენობა.

პასუხი. იგი მნიშვნელოვან და პოზიტიურ მორიგებად მიმაჩნია. ინიციატივა გამოიჩინა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა, მაგრამ თვით ეს ინიციატივა შესაძლებელი გახდა საერთაშორისო სიტუაციის გაჯანსაღებისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესების ვითარებაში, რომელსაც ახალი მძლავრი სტიმული მიეცა მალტაზე შეხვედრის შედეგად. ჯ. ბუშის წინადადება ევროპაში შეიარაღებული ძალებისა და ჩვეულებრივი იარაღის შემცირების შესახებ ვენის მოლაპარაკების კალაპოტშია მოქცეული. ამიტომ, საგულდაგულოდ გავაანალიზეთ რა იგი, ჩვენ პოზიტიურად ვუპასუხეთ და უფრო რადიკალური ვარიანტიც კი წამოვაყენეთ: 195 ათასი არა ცენტრალური, არამედ მთელი ევროპისათვის სსრ კავშირის ფარგლებს გარეთ. მაგრამ მაშინვე ვთქვით, რომ პრეზიდენტის ვარიანტიც მისაღებია.

ცნობილია ჩვენი საპროგრამო წინადადებები, რომ 1995-1996 წლებისათვის ყველა ჯარი დაბრუნდეს თავისი ეროვნული საზღვრების ფარგლებში, 2000 წლისათვის კი გაუქმდეს ყველა ცხოლური სამხედრო ბაზა. უნგრეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან ჩვენი ჯარების გამოყვანის შესახებ უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკება მათ მთავრობებთან.

ერთი სიტყვით, მორიგება ცენტრალურ ევროპაში ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის სამხედრო ყოფნის შემცირების შესახებ მთლიანად შეესაბამება საერთაშორისო განვითარების მთავარ ტენდენციას და მშვიდობის საქმეს ემსახურება.

კითხვა. იმისათვის, რომ განხორციელდეს მორიგება, საბჭოთა კავშირმა მეტად უნდა შეამციროს ჯარები, ვიდრე შეერთებულმა შტატებმა. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატები ევროპაში მისი ცენტრალური ნაწილის ფარგლებს გარეთ ტოვებს კიდევ დაახლოებით 80 ათას კაცს. გავლენას ხომ არ მოახდენს ეს ძალების ბალანსზე. ჩვენს უშიშროებაზე.

პასუხი. მოკლედ შემიძლია გიპასუხოთ — არა. მაგრამ კითხვას, ალბათ, უფრო ვცრელი პასუხი სჭირდება.

რა თქმა უნდა, ჩვენ ახლაც ვითვლით სამხედრო პოტენციალების შეფარდებას. მაგრამ წარსულს ბარდება ტრადიციული წარმოდგენა უპირატესად სამხედრო ძალის ზრდის გზით უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ. ახალი ხასიათის საერთაშორისო დიალოგმა, მოლაპარაკების პროცესის სამყარომ პოლიტიკური ფაქტორები გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი გახადა ამ სფეროში. მსოფლიო და ევროპულ პოლიტიკაში ჩაებნენ ისეთი მძლავრი ძალები, რომ ომის რეალური საშიშროება არსებითად შემცირებულა, მიმდინარეობს საერთაშორისო უშიშროების პრინციპულად ახალი სისტემის ფორმირების პროცესი.

მიმაჩნია, რომ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მორიგება არსებითად გააადვილებს ევროპაში შეთანხმებების შემუშავებას, რომელსაც ხელი უნდა მოვაწეროთ საერთო ევროპულ შეხვედრაზე მომდინარე წლის დამლევს.

რაც შეეხება კერძოდ საქმის სამხედრო მხარეს, რომელიც საგულდაგულოდ განვიხილეთ, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ შეიარაღებული ძალების შემცირება დღეს შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით არ შეასუსტებს ჩვენს თავდაცვითუნარიანობას — იგი სათანადო დონეზეა დაცული.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

სტატისტიკა საჯაროობის პრიზმაში

ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჟურნალისტს ჰქონდეს სხვადასხვა და სარწმუნო სტატისტიკური მონაცემები, ყველასათვის ნათელია. მაგრამ სინამდვილეში, ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ამ სტატისტიკური მონაცემების მოპოვება საკმაოდ შეზღუდული იყო. ახლაც კი ყოველთვის როდია იოლი მიიღო ობიექტური მონაცემები მთელ რიგ საკრებოროტო საკითხებზე, პრესაში ამა თუ იმ ფაქტის დროულმა გაშუქებამ კი შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს პრობლემის გადაჭრაში. როგორი უნდა იყოს სტატისტიკოსებისა და ჟურნალისტების ურთიერთობა? რას მეტყველებს სტატისტიკა ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის თაობაზე? ესა და სხვა საკითხები გახდა დისკუსიის საგანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ პრესკონფერენციაზე. ჟურნალისტთა შეკითხვებს უპასუხეს რესპუბლიკის სტატისტიკომის თავმჯდომარემ რევაზ ბასარიამ და კომიტეტის სხვა მუშაკებმა.

პრესის მუშაკთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია რესპუბლიკის ეკონომიკურმა მდგომარეობამ სტატისტიკის თვალსაზრისით. სტატისტიკომი მას ახასიათებს როგორც უაღრესად რთულს, შენელდა ეკონომიკის განვითარების დინამიზმი, შარშან ვერ შესრულდა საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის მნიშვნელოვან მაჩვენებელთა უმრავლესობა. გრძელდება ინფლაცია, იზრდება დაუკმაყოფილებელი მოთხოვნა, დაძაბულობა სამომხმარებლო ბაზარზე. იმის მიუხედავად, რომ მრავალი სახეობის საქონლის რეალიზაციის მოცულობა გაიზარდა, მოთხოვნა კვლავ უსწრებს მიწოდებას. ეს ნეგატიური მოვლენები მიმდინარეობს შრომის დისციპლინის გაუარესების, სამუშაოს გაცდენებისა და მოცდენების, კადრების დენადობის ფონზე. სახალხო მეურნეობის საქმიანობაზე განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა მოახდინა გაფიცვებმა, რომლებმაც ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია დაგვაკარგინა. გაზშირდა პროდუქციის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების ჩაშლა. ეს ვალდებულებები ვერ უზრუნველყო ყოველმა მეოთხე გაერთიანებამ და სამრეწველო საწარმომ, რის გამოც მომხმარებელს დაკლდა 255 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ეს მონაცემები შეიძლებოდა უწყებრივ საიდუმლოდ დარჩენილიყო, საყოველთაო, მაგრამ, სამწუხაროდ, მოჩვენებითი კეთილდღეობის სურათად შენიღბულიყო. მაგრამ, როგორც გამოირკვა პრესკონფერენციის დროს, ახლა ეს მონაცემებიც ვეღარ აკმაყოფილებს ვერც პრესის მუშაკებს, ვერც მის მკითხველებს. ხალხი მართალ მონაცემებს მოითხოვს. ითხოვს ისეთი მაჩვენებლების თაობაზე, როგორიც არის ბავშვთა სიკვდილიანობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, გარემოს გაჯუჯაინება და საარსებო მნიშვნელობის საქონლის დეფიციტი. სტატისტიკამ, რომელიც მიუკერძოებელ ფიქსატორად რჩება, ამავე დროს სოციალური მიმართულება უნდა შეიძინოს. ეს აზრი დომინირებდა საღამოზე, და სწორედ ამიტომ კონფერენციის მონაწილეებმა წამოჭრეს ჩრდილოვანი ეკონომიკის საკითხი. ვინ ან რა დგას ამ ტერმინის მიღმა, რომელიც შედგებით ამ ცოტა ხნის წინათ შემოვიდა ხმარებაში? როგორია მისი გავლენა თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაზე? იოლი როდი აღმოჩნდა ერთიანი ინფორმაციის ამოღება. ბალი მართალ მონაცემებს მოითხოვს. ითხოვს ისეთი მაჩვენებლების თაობაზე, როგორიც არის ბავშვთა სიკვდილიანობა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ეკონომიკ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

(გაგრძელება)

მეგობაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნარეთა ბიოლოგიისა და ბიოქიმიის განყოფილების გამგე **ოთარ კონსტანტინეს ძე წიფლაშვილი** — საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოებისაგან.

საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიის განყოფილების გამგე **იულონ მიხეილის ძე გაგოშიძე** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გორის რეგიონალური განყოფილებისაგან.

საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის მშენებარე საწარმოების გაერთიანებული დირექციის უფროსი **შალვა ნიკოლოზის ძე კვინტაძე** — საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის „საქქიმბიოთმვაჭრობის“ შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **ნოდარ ოთარის ძე ცქიტაშვილი** — ამ საზოგადოებისაგან.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანი **ნაურ გაიოზის ძე გომართელი** — საქართველოს სახალხო ფრონტის პედაგოგთა ასოციაციისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგიკის კათედრის გამგე **ლერი ირაკლის ძე შმიდლიშვილი** — საზოგადოება „კავკასიური კლუბისაგან“.

თბილისის № 6 საშუალო სკოლის მასწავლებელი **გიორგი ვლადიმერის ძე შარვაშიძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა ჰუმანიტართა საზოგადოებისაგან.

კინორეჟისორი **ოთხეს კალიტარატეს ძე ჩხაიძე** — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისაგან.

ქალაქ თბილისის კიროვის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ზურაბ მიხეილის ძე ლელაშვილი** — თბილისის № 5 ავტობრთა კავშირის ავტოსატრანსპორტო საწარმოს შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის მთავარი არქიტექტორი **შოთა დიმიტრის ძე ყავლაშვილი** — საქველმოქმედო საზოგადოება „თბილისელისაგან“.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე **ნოდარ გიორგის ძე რუხაძე** — საქართველოს გულმოწყალებისა და ჯანმრთელობის ფონდისაგან.

მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **გერონტი გიორგის ძე შიბაშვილი** — მცხეთის რაიონის ქსნის საშენ მასალათა და სამეურნეო საქონლის კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან.

საჩხერის სახდაზვევის ინსპექციის უფროსი **გერონტი ანდრიოს ძე სიგინავა** — საქართველოს სახალხო ფრონტის საჩხერის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი **ელიზო დავითის ასული ბერძენიძე** — საჩხერის რაიონის კორბოულის № 1 საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

გარდაბნის რაიონის საზკვების კოოპერატივ „თელეთის“ გამგეობის თავმჯდომარე **გრიგოლ ივანეს ძე ნაცვალაძე** — წარმოებისა და მომსახურების სფეროს კოოპერატორთა რესპუბლიკური კავშირისაგან.

საქართველოს სსრ სახტელერადიოს კინოპროგრამების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი **ოთარ ისაკის ძე ხეფიაშვილი** — ქართულ-ებრაული ურთიერთობის კვლევის ასოციაციისაგან.

გაზეთ „მოძღვრის“ კორესპონდენტი **ალექსანდრე გიორგის ძე ჭობულაშვილი** — საქართველოს სახალხო ფრონტის პედაგოგთა ასოციაციისაგან.

საქართველოს სახტელერადიოს საინფორმაციო პროგრამა „მოამბის“ უფროსი რედაქტორი **დიდი გეიდარის ასული ოორდანაშვილი** — საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისაგან.

გარდაბნის რაიონის წავკისის სასოფლო კლუბის გამგე **მარინე ჯიმშერის ასული დორეული** — გარდაბნის რაიონის წავკისის საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

გაზეთ „პრავდის“ საკუთარი კორესპონდენტი საქართველოს სს რესპუბლიკაში **გიორგი ივანეს ძე ლეონიძე** — გარდაბნის რაიონის ახალსოფლის საშუალო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანი **ივანე ვლადიმერის ძე ჭელიძე** — გარდაბნის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების შრომითი კოლექტივისაგან.

მსახიობი **ლია შალვას ასული ელიავა** — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისაგან.

აგროსამრეწველო კომბინატ „ვანის“ გენერალური დირექტორი **ომარ აპოლონის ძე ბასიარი** — ვანის საკონსერვო ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

კინორეჟისორი **გიორგი ვადიმის ძე ლეკვეშოვ-თუმანიშვილი** — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისაგან.

გაერთიანება „საქენერგოს“ გენერალური დირექტორის მოადგილე **გრიგოლ გრიგოლის ძე გოგავა** — „კოოპერატორები მშვიდობისათვის და კაცობრობის ხსნისათვის“ საქართველოს რესპუბლიკური ასოციაციისაგან.

ბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-პოლიტიკური თეორიისა და პოლიტოლოგიის კათედრის პროფესორი **კარლო სპარიდონის ძე შარია** — საქართველოს პედაგოგთა ასოციაციისაგან.

თბილისის ონკოლოგიური სამეცნიერო ცენტრის ლაბორატორიის ხელმძღვანელი **გულნარა კლიმენტის ასული გერასიმია** — საქართველოს ონკოლოგთა რესპუბლიკური სამეცნიერო საზოგადოებისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე **გერონტი ანდრიოს ძე ნიბლაძე** — ამ ორგანიზაციის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის № 11 სახელმწიფო სანოტარო კანტორის სახელმწიფო ნოტარიუსი **ლევან ვახლიოს ძე კობერიძე** — თბილისის სახელმწიფო სანოტარო კანტორებისაგან.

ცხინვალის № 11 საშუალო სკოლის დირექტორი **ვალერი ენვერის ძე გაზაევი** — ამ სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ფაკულტეტური ქირურგიის კათედრის ასისტენტი **ვიო ვარდენის ძე ლობჟანიძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ლაგოდეხის საავადმყოფო-პოლიკლინიკების გაერთიანების ქირურგიული განყოფილების გამგე **გივი შალვას ძე ლობჟანიძე** — საქართველოს სახალხო ფრონტის ლაგოდეხის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

ზესტაფონის № 152 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობითს მუშაობაში **რომან პავლეს ძე ჭუმბურიძე** — ამ სასწავლებლის შრომითი კოლექტივისაგან.

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თბოტექნიკისა და ფიზიკის კათედრის გამგე **ამირან ზაქარიას ძე აფციაური** — ქომკავშირის ქუთაისის ენინის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სახალხო ფრონტის პედაგოგთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი **დოდო გიორგის ასული შუბითაძე** — ამ ასოციაციისაგან.

კინოსტუდია „მემატიანის“ შემოქმედებითი გაერთიანება „დროების“ სამხატვრო ხელმძღვანელი **ლევან გალაქტიონის ძე ცინცაძე** — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისაგან.

თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის დირექტორი **ზურაბ ვიქტორის ძე მინდელი** — ამ სადგურის შრომითი კოლექტივისაგან.

სამხედრო მოსამსახურე **ბორის ვიქტორის ძე ხუთოროვი** — მეგობრობა ქალაქის ამომრჩევლებისაგან.

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მთავარი სარედაქციო კოლეგიის რედაქტორი **ირაკლი პროკოფის ძე გოცირიძე** — საქართველოს ჟურნალისტთა კავშირისაგან.

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილე **ჯუმბერ იპოლიტეს ძე თითმერია** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი **დავით შოთას ძე ტურაშვილი** — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისაგან.

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თბოტექნიკისა და შიგაწვის ძრავების კათედრის გამგე **ამირან ზაქარიას ძე აფციაური** — ქომკავშირის ქუთაისის ენინის რაიონული ორგანიზაციისაგან.

საქართველოს სახალხო ფრონტის პედაგოგთა ასოციაციის პრეზიდიუმის წევრი **დოდო გიორგის ასული შუბითაძე** — ამ ასოციაციისაგან.

კინოსტუდია „მემატიანის“ შემოქმედებითი გაერთიანება „დროების“ სამხატვრო ხელმძღვანელი **ლევან გალაქტიონის ძე ცინცაძე** — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირისაგან.

თბილისის № 11 საშუალო სკოლის დირექტორი **ვალერი ენვერის ძე გაზაევი** — ამ სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის ფაკულტეტური ქირურგიის კათედრის ასისტენტი **ვიო ვარდენის ძე ლობჟანიძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ლაგოდეხის საავადმყოფო-პოლიკლინიკების გაერთიანების ქირურგიული განყოფილების გამგე **გივი შალვას ძე ლობჟანიძე** — საქართველოს სახალხო ფრონტის ლაგოდეხის რეგიონალური ორგანიზაციისაგან.

ზესტაფონის № 152 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე აღმზრდელობითს მუშაობაში **რომან პავლეს ძე ჭუმბურიძე** — ამ სასწავლებლის შრომითი კოლექტივისაგან.

აბარის ასსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი **რევაზ ხუსეინის ძე ნაკაიძე** — სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ აბარის საოლქო საბჭოსაგან.

ბათუმის საქალაქო სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი **ოთხეს ბუსლი ძე ბარდანაშვილი** — აბარის რესპუბლიკური მუსიკალური საზოგადოებისაგან.

ბათუმის საზოგადოებრივი კვების კოოპერატივის „ოჯახურის“ თავმჯდომარე **გიორგი ისაკის ძე შეკვანაშვილი** — ამ კოოპერატივის შრომითი კოლექტივისაგან.

ზურაბ შალვას ძე ქაჯაია — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისაგან.

საქართველოს იურისტთა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე **რევაზ აკაკის ძე ლალიძე** — საქველმოქმედო საზოგადოება „ქუთაისელისაგან“.

საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ საინსტრუმენტო წარმოების სტანდარტული ინსტრუმენტების ბიუროს უფროსი **ჯემალ ვარლამის ძე ხიმშიაშვილი** — ავტოქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

გაზეთ „ქუთაისის“ მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე **ცირა ალექსანდრეს ასული შალაშვილი** — საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებისაგან.

ქუთაისის 5. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის ასისტენტი **ზაალ გრიგოლის ძე ლომთათაძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **ალექსანდრე მარიატის ძე კვერნაძე**—საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის დოცენტი **აკაკი ზურაბის ძე კობაძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების საქალაქო საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების უფროსი ორდინატორი **ბადრი ნოეს ძე ალფაიძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის გამგე **რევაზ ივანეს ძე გაგნიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული ბოტანიკოსთა საზოგადოებისაგან.

დროებით უმუშევარი **ნათელა გიორგის ასული ლიპარტელიანი**— საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ცაგერის რაიონის ალპანის საუბნო საავადმყოფოს მთავარი ექიმი **არდევან შოთას ძე გოლეთიანი** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა განახლების კოლმეურნეობის წევრი **მაგლინა ვიქტორის ასული ყაჭეიშვილი** — ჩოხატაურის რაიონის ქალთა საბჭოსაგან.

ჩოხატაურის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პლატონ ლუკას ძე წიქორიძე** — ამ საბჭოსაგან.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ოზურგეთის რაიკომის თავმჯდომარე **ეთერ ოთხეს ასული კილეთაძე** — ამ საზოგადოებისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერთა ბიოქიმიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე **გურჯან იაკობის ძე დარასელია** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ზუგდიდის მეხანძრეთა ნიბაყოფლობითი საზოგადოების ინსტრუქტორი **ანდაკი თედორეს ძე ქობალია** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ზუგდიდის რაიონის ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ბორის გიორგის ძე ლომაია** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის შემოქმედებითი განყოფილების გამგე **გერმან (გიორგი) მიხეილის ძე ხუხუაშვილი** — ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა კვლევის ასოციაციისაგან.

ფოთის ტერიტორიულ-დარგობრივი გაერთიანების უფროსის მოადგილე **ოთარ ანანის ძე ჭაბურია** — „აქსოფლქიმიის“ ავტოსატრანსპორტო საწარმოს ფოთის ელონის შრომითი კოლექტივისაგან.

ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა განახლების კოლმეურნეობის წევრი **მაგლინა ვიქტორის ასული ყაჭეიშვილი** — ჩოხატაურის რაიონის ქალთა საბჭოსაგან.

ჩოხატაურის რაიონის ომისა და შრომის ვეტერანთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **პლატონ ლუკას ძე წიქორიძე** — ამ საბჭოსაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი **ალექსანდრე მარიატის ძე კვერნაძე**—საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ქუთაისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების საქალაქო საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების უფროსი ორდინატორი **ბადრი ნოეს ძე ალფაიძე** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ზუგდიდის რაიონის ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ბორის გიორგის ძე ლომაია** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის შემოქმედებითი განყოფილების გამგე **გერმან (გიორგი) მიხეილის ძე ხუხუაშვილი** — ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა კვლევის ასოციაციისაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკოსთა ბიბლიოთეკა „ვანის“ — ვანის საკონსერვო ქარხნის შრომითი კოლექტივისაგან.

ბორჩალოს რაიონის ფოთლიანი ბაღის ბოსტნეულის ბაზის ბუღალტერი **ალექსანდრე ივანეს ძე ლეონიძე** — ბორჩალოს რაიონის ალექსანდროფელდის ბაღჩეულის ბაზის ბუღალტერ ალექსანდრ ლეონიძისაგან.

ბორჩალოს რაიონის ალექსანდროფელდის ბაღჩეულის ბაზის ბუღალტერ **ალექსანდრ

დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატები

(დასასრული)

ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის XX საუკუნის პოლიტიკური ისტორიის კათედრის დოცენტი **დიმიტრი თევდორეს ძე კოპალიანი** — „ქუთაისელი“ საქველმოქმედო ორგანიზაციისაგან.

ქუთაისის № 5 საშუალო სკოლის მასწავლებელი **რობინზონ ილიას ძე ხალაძე** — რუსთავის სახელმწიფო თოჯინების თეატრის შრომითი კოლექტივისაგან.

„საქაგრომშენის“ რესპუბლიკური გაერთიანების № 13 ტრესტის მმართველი **რევაზ აკიას ძე არაბული** — ამ ტრესტის № 24 და № 43 მოძრავი მექანიზებული კოლონების სამმართველოს „საქაგრომშენის“ მცირე მექანიზაციის სამმართველოს დუშეთის სამშენებლო მოძრავი მექანიზებული კოლონისა და კოოპერატივ „უნივერსალის“ შრომითი კოლექტივებისაგან.

გარდაბნის რაიონის მარტყოფის საბავშვო ბაგა-ბაღის გამგე **გულნაზი ნიკოლოზის ასული ეპიტაშვილი** — საბავშვო ბაგა-ბაღის შრომითი კოლექტივისაგან.

ვაკეკეთილის მევენახეობა-მებაღეობის საბჭოთა მეურნეობის მოიჯარე **ნუგზარ ნიკოლოზის ძე ახობაშვილი** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის საბუღალტრო საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ადიგენის რაიონის ვარხნის საბჭოთა მეურნეობის ზოოტექნიკოსი **გაგა გიორგის ძე კალანდაძე** — საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ბოლნისის რაიონის იორიდიული კონსულტაციის ადვოკატი **გურამ ნესტორის ძე ნიკურაძე** — ამ კონსულტაციის შრომითი კოლექტივისაგან.

ბოლნისის რაიონის სატუმბი სადგურების უფროსი **ოლეგ ბორისის ძე მოროლეგიანი** — ბოლნისის მელიორაციისა და წყლათა მეურნეობის საწარმოო სამმართველოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქსახაგრომრეწვის მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს უფროსი **გურამ მარკოზის ძე ჩიკვილაძე**— საქართველოს სახაგრომრეწვითან და საზოგადოება „ცოდნასთან“ არსებული მიწათმოქმედთა ასოციაციისაგან.

გაერთიანება „საქსამოქალაქო მრეწვმშენის“ № 1 ტრესტის მმართველი **ზაურ სერგოს ძე კაპანაძე** — ქალაქ რუსთავის ჭყონდიერლის დასახლების ამომრჩეველებისაგან.

რუსთავის ლუდისა და ხილეული წყლების კომბინატის ტექნიკური განყოფილების ტექნოლოგი **თეიმურაზ შოთას ძე გოგოსაშვილი** — ქალაქ რუსთავის № 131 ლადო მესხიშვილის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველებისაგან.

რუსთავის № 5 საშუალო სკოლის მასწავლებელი **ჯულიეტა ვაჟას ასული სამხარაძე** — რუსთავის № 39 საბავშვო ბაგა-ბაღის შრომითი კოლექტივისაგან.

დროგბონი უმუშევარი **ნარგიზა კორნელის ასული გვალია** — რუსთავის № 56 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის შრომითი კოლექტივისაგან.

დუშეთის სახალხო კონტროლის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე **ავთანდილ ნიკოლოზის ძე მამსიკაშვილი** — დუშეთის სასაბუთრე მეურნეობა-კომბინატის შრომითი კოლექტივისაგან.

დუშეთის რაიონის ტურიზმისა და დასვენების კოოპერატივ „არაგვის“ თავმჯდომარე **ზურაბ ზურაბის ძე ახალშენიშვილი** — კოოპერატივის შრომითი კოლექტივისაგან.

დუშეთის რაიკოოპკავშირის თავმჯდომარე **ჯუმბერ ვახტანგის ძე ჯავახიშვილი** — ამ რაიკოოპკავშირის მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

დუშეთის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის სამკერვალო საამქროს მკერავი **მერი დიმიტრის ასული ნათელაშვილი** — დუშეთის ადგილობრივი მრეწველობის სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი **ნუგზარ არხენის ძე ოდიშვილი** — დუშეთის რაიონის მთიულეთის ავტომეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

თბილისის იავნე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **ლევან ვლადიმერის ძე უიეიშვილი** — დუშეთის რაიონის ზოპორტიის საუბნო საავადმყოფოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი **კუკური ანტონის ძე ჩაფიჩაძე**— თერჯოლის რაიონის თუზის საუბნო სკოლის შრომითი კოლექტივისაგან.

ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ბრიგადის ხელმძღვანელი **ნარგიზა ილიოზის ასული ილორიძე** — აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის ახმეტის რაიონული კომიტეტისაგან.

ახმეტის საცდელ-ექსპერიმენტული ქარხანა „თბოაგრეგატის“ ოსტატი **ზაქარია ჯემალის ძე ქინქლაძე** — საქართველოს სახალხო ფრონტის ახმეტის რეგიონული ორგანიზაციისაგან.

ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ბრიგადის ხელმძღვანელი **ნარგიზა ილიოზის ასული ილორიძე** — ახმეტის რაიონის ბაკურიანის ბალნეოლოგიური კურორტის ექიმ-ფიზიკოსი **ალექსანდრე დავითის ძე სადღიმბლაშვილი** — ამ კომიტეტისაგან.

ზნაურის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი **თათარბეგ დიმიტრის ძე თამბოევი** — განყოფილების შრომითი კოლექტივისაგან.

ზნაურის რაიონის ქვათეთრის საშუალო სკოლის დაწყებითი საფეხურო მომზადების ხელმძღვანელი **ზაურ კონსტანტინეს ძე ხარებოვი** — ზნაურის რაიონის ქვათეთრის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ზნაურის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი **ვახტანგ დავითის ძე ღვაბერიძე** — საავადმყოფოს შრომითი კოლექტივისაგან.

ზნაურის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ვიქტორ ივანეს ძე ჭიოევი** — ზნაურის რაიონის ბეყმარის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **იოსებ ივანეს ძე გოგინაშვილი** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული საქველმოქმედო ასოციაცია „ჯავახეთისაგან“.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კრიმინალისტიკის ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელი **რევაზ ვლადიმერის ძე გოგშელიძე** — სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების რუსთავის საქალაქო ორგანიზაციისაგან.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის დოცენტი **რაგნი ისლამის ძე ანდრიაშვილი** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ფოთის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურის გამსხვილებული კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი **დავით მამანტის ძე კულუა**— ნავსადგურის შრომითი კოლექტივისაგან.

„საქსოფლმშენსახპროექტის“ საპროექტო ინსტიტუტის უფროსი არქიტექტორი **ირაკლი ნიკოლოზის ძე ულენტი** — საქართველოს სახალხო ფრონტისაგან.

ლანჩხუთის რაიონული სტამბის დირექტორი **გიორგი ავქსენტის ძე იმნაძე** — სტამბის შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე **მურმან გრიგოლის ძე წულაძე** — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭანჭათის კოლმეურნეობის შრომითი კოლექტივისაგან.

ლანჩხუთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **თეიმურაზ ალექსანდრეს ძე გუგუნავა** — ლანჩხუთის მანქანათაშენებელი ტექნიკუმის შრომითი კოლექტივისაგან.

გაზეთ „მამულის“ რედაქტორი **ტარიელ პროკოფის ძე ჭანტურია** — ლანჩხუთის რაიონის სუფსის საუბნო საავადმყოფოს შრომითი კოლექტივისაგან.

საქართველოს სსრ სახტელერადიოს პოლიტიკური მიმომხილველი **აბონ იაკობის ძე ციციაშვილი** — საზოგადოება „ცოდნის“ აპარის საოლქო ორგანიზაციისაგან.

